

სს „გეოფრემ“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი 405140137)
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	03
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	04
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	05
ფინანსური მუხლების განმარტებითი შენიშვნები ----	06.07,08
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	09

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი		
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5504	84446	552852
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	164338	143397	206646
სახსრები	1879		
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები			
მარაგები	101383	323825	187290
მ.შ. - მზა პროდუქცია		209809	84080
- სხვა	101383	114016	103210
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3910	5616	3410
ბიოლოგიური აქტივები	2844	10800	40140
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	2844	10800	40140
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	2223	2223	2223
ძირითადი საშუალებები	529410	619281	634431
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	811491	1189588	1626992
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის)			
გრძელვადიანი ნაწილი			
სავაჭრო ვალდებულებები		5354	22090
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1502	5169	37982
საგადასახადო ვალდებულებები		1191	4240
გამოუმუშავებელი შემოსავალი	62	62	26016
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3306417	3281583	3613294
მიღებული გრანტები			
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი			
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	742	148	923
სულ ვალდებულებები	3308723	3293507	3704545
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	32000	32000	32000
საემისიო შემოსავალი			

გამოსყიდული საკუთარი აქციები გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი გადაფასების რეზერვი საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები სულ საკუთარი კაპიტალი	-2529232 -2497232	-2135919 -2103919	-2104954 -2072954
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	811491	1189588	1631591
სულ მოკლევადიანი აქტივები სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	277014 2729	557284 11924	950198 91251

სს გეოფრეშ 405140137, 31 დეკემბერი , 2023 წელი



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული:1

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ამონაგები	349575	867355
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	349575	867355
- მომსახურების გაწევიდან	0	0
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
- სხვა ამონაგები	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-393299	-839961
საერთო მოგება	-43724	27394
სხვა საოპერაციო შემოსავალი	183544	965691
დასაქმებულთა ანაზღაურება	-268237	-282620
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-79000	-143363
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-33536	-63274
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-268430	-765626
სულ საოპერაციო ხარჯები	-465659	-289192
საოპერაციო მოგება	-509383	-261798
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა	0	0
მ.შ. - ფინანსური აქტივების	0	0
- მარაგების	0	0
- სხვა არაფინანსური აქტივების	0	0
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	4692	253740
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	111378	-17356
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ.	-393313	-25414
ოპერაციებიდან	0	0
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-393313	-25414

სხვა სრული შემოსავალი/ზარალი	0	0
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების)	0	0
გადაფასების რეზერვი		
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)	0	0
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-393313	-25414
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-2103919	-2072954
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-5551
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-2497232	-2103919

სს გეოფრეშ 405140137, 31 დეკემბერი, 2023 წელი



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-92112	-299747
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	0	-119714
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	12980	-16244
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-79132	-435705
სავალუტო კურსის ეფექტი	190	-32701
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	84446	552852
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	5504	84446

სს გეოფრეშ 405140137, 31 დეკემბერი, 2023 წელი



3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
ნაღდი ფული საღაროში		
ფული საბანკო ანგარიშებზე	5504	84446
სულ	5504	84446

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს ორ ბანკში სს "თიბისი ბანკი", სს "საქართველოს ბანკი"

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ღირებულება (ლარი)	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან დამომსახურებიდან	394829	388778
საექვო მოთხოვნების რეზერვი	-287030	-287030
გადახდილი ავანსები	20425	18732
მოთხოვნები აქციონერების მიმართ	17600	17600
სხვა მოთხოვნები	18514	5317
სულ	164338	143397

3.3. მარაგები

ღირებულება (ლარი)	31.12.2023	31.12.2022
მასალები პლანტაციასში	101383	114016
მზა პროდუქცია	0	209809
სულ	101383	323825

სს გეოფრეშ 405140137, 31 დეკემბერი, 2023 წელი



3.4 ძირითადი სამუალებები და ბიოლოგიური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ბიოლოგიური აქტივების ღირებულება				
	მინუსი	პლუსი	პლუსი	პლუსი	პლუსი
1 იანვარი 2022 წელი	136105	377219	106773	184014	498911
მეცხე		1429	105254		3120
ჩამოწმებული		-20841			9910
31 დეკემბერი 2022 წელი	136105	357807	212027	184014	502031
მეცხე		52			580
ჩამოწმებული		-48895		-37749	7173
31 დეკემბერი 2023 წელი	136105	308964	212027	146265	502611
დაგროვილი ცვლილება					249671
1 იანვარი 2022 წელი		-71286	-68886	-135502	-458770
დაგროვილი ცვლილება		-14368	-38506	-25262	-32461
ჩამოწმებული					-32766
31 დეკემბერი 2022 წელი		-85654	-107392	-160764	-491231
დაგროვილი ცვლილება		-14421	-36150	-4575	-8536
ჩამოწმებული		48895		26424	-30625
31 დეკემბერი 2023 წელი		-51180	-143542	-138915	-499767
წმინდა საბალანსო ღირებულება					-189985
1 იანვარი 2022 წელი	136105	305933	37887	48512	40141
31 დეკემბერი 2022 წელი	136105	272153	104635	23250	10800
31 დეკემბერი 2023 წელი	136105	257784	68485	7350	2844

სს გეოფრეშ 405140137, 31 დეკემბერი, 2023 წელი



3.5. სასესხო ვალდებულებები

ლარი	31.12.2023	31.12.2022
სასესხო ვალდებულებები არარეზიდენტი ფიზ. პირების მიმართ	3306417	3281583

3.6. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
მოსავლის მიღების ხარჯები		422712
რეკლამის ხარჯები		267604
მიწოდების ხარჯები		
ელექტროენერგიის ხარჯები		8478
გაზი და წყალი		1707
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები		2910
საკანცელარიო ხარჯები		2734
კომუნიკაციის ხარჯები		2746
დაზღვევის ხარჯები, გარდა პერსონალის დაზღვევაზე გადახდილისა		2626
საკონსულტაციო ხარჯები		10170
საგადასახადო ხარჯები		5513
საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)		1703
საბანკო ხარჯები კონვერტაციიდან		11021
მივლინების ხარჯები (საერთო ადმინისტრაციული)		8758
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (გარდა ავტომანქანებისა)		5442
ავტომანქანების რემონტის ხარჯები		5407
სატვირთო ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები		6081
წარმომადგენლობითი ხარჯები		
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები		13
სულ:		765625

სს გეოფრეშ 405140137, 31 დეკემბერი, 2023 წელი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. სს „გეოფრემ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405140137. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკესაბურთალოს რაიონი, ი. აბაშიძის ქ., № 81 / დარიალის ქ., № 9, ბ. 12.

1.2. კომპანიის კაპიტალი დაყოფილია ჩვეულებრივი სახის აქციებად. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი, სულ ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა არის 32 000 ცალი, ღირებულებით 32 000 ლარი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

1681026400125, დან კლეინერმან, რუმინეთის მოქალაქე	6400 აქცია	20%
01391016189, ნირ იაქოვ ბარექეთ საქართველოს მოქალაქე	8000 აქცია	25%
0-2874284-6, ოფერ ეიზენბერგ , ისრაელის მოქალაქე	17600 აქცია	55%

1.3. კომპანიის დირექტორია ნირ იაქოვ ბარექეთ, (პ.ნ. 01391016189)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მოცვის და სატაცურის მოყვანა და რეალიზაცია. კომპანიას აქვს სატაცურის

პლანტაცია საგარეჯოში და მოცვის პლანტაცია ზუგდიდის რაიონში, სოფელი რუხი.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არმოელის, რომ მინიმუმ უახლესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა: შემოსავლების აღიარება შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან

მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის

მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და 8

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში,

რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, ბიოლოგიური აქტივების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და ბიოლოგიური აქტივების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც მათი გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა მათი გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და ბიოლოგიური აქტივების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან ბიოლოგიური აქტივისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი

კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი 10 გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად. ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა). 2017-2018-2019-2020-2021-2022-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი
ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.6894 ლარი;

1 EUR = 2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.7020 ლარი;

1 EUR = 2.8844 ლარი.

